




ଓଲମ୍ବନେଶ୍ୱର
ପ୍ରଦୀପଚନ୍ଦେଶ୍ୱର
ମ. ପ୍ରଦୀପଚନ୍ଦେଶ୍ୱର



କୃତିତ୍ୱ
ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ

საქართველოს სსრ სოციალური მიზანების დამტკიცებულების
მიცემის მინისტრის, მინისტრის მინისტრისა და მინისტრის მინისტრის
კოდექსი



თ. ვ ვ ვ 6 6 0

მ ე ს ი ს ა მ ე ლ ე

K 40.598
2



გამომცემის „საგვარეულო“

თბილისი — 1971

663.2



634.8

ლ 737



წინამდებარე ბრძულის შინანია, დახმარება კაუ-
ზიოს მეცნიერებების სპეციალისტებს და იმ პირთ, რომლე-
ბიც დაინტერესებული ირიან მეცნიერების საკითხე-
ბის შესწავლით. ბრძულის გამარჯვებულია ლეინის
მოედას ისეთი ჩნიშვნელოვანი ობიექტები, როგო-
რიცაა: გადაღება, შეკვება და მითიან დაკავშირებუ-
ლი პრაქტიკული თუ თეორიული საკითხები.

4—4—5

71 გვ.

ლპინის გადაღება

დაწმენდილი, გამჭვირვალე ლვინის „ლექიდან მოცილებას გადაღება ეწოდება. გადაღებას ლვინის დაძველების პროცესის სწორად და ნორმალურად წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

მას შემდეგ, რაც ლვინო დაიდულებს, საფუვრები, ლვინოში შემავალი შეწონილი ნაწილაკები და მიკროორგანიზმები ჭურჭლის ფსკერზე დაილექტებიან. დადუღებული ლვინის (თუ იგი არაგანსაღი ყურძნისაგანაა მიღებული) ლექზე დიდი ხნით გაჩერება სასურველი არ არის, ვინაიდან შესაძლებელია, ლექი დაიშალოს და მოხდეს საფუვრების ავტოლიზი. ამის შედეგად საფუვრების დაშლილი უქრედები შეეჩევიან ლვინოს და აამღვრევენ. ადრე თუ გვიან ეს გამოიწვევს ლვინის დაავადებას და მას ძნელიდ მოსაცილებელ გოგირდწყალბადის სუნს მისცემს. დუღილის დროს ჭურჭლის კედლებზე გამოილექტება ლვინის ქვა. გამოლექილი ქვისაგან ლვინის მოცილების მიზნით ასევე გადაღებაა მიზანშეწონილი.

ლვინის გაწებვისა და ფილტრაციის ჩატარება გადაღების გარეშე არასასურველია. გაწებილი ლვინის დაწმენდის შემდეგ ჭურჭლის ფსკერზე ჩნდება ნალექი, რომელიც დროუ-

ლად უნდა მოვაცილოთ ღვინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში
შეიძლება იგი გაიხსნას ღვინოში, რასაც არასასურავეულებელი
დეგი მოჰყვება.

პირველი მუხლი

ასევე დროულად უნდა გადავიღოთ ღვინო მაშინ, როცა
იგი დამუშავებული გვაქვს სისხლის ყვითელი მარილით, რად-
გან შეიძლება გამოლექილი ბერლინის ლაქვარდი ქიმიურად
დაიშალოს და ღვინოს არასასურველი გემო და სუნი მისცეს.

სხვა საშუალებებით (კვერცხის ტილა, თევზის წებო, ე-
ლატინი) დამუშავებული ღვინოებიც დროულად უნდა გადა-
ვიღოთ. თუმცა ამ შემთხვევაში ლექის ქიმიურად დაშლის
საშიშროება არ არის. იგივე უნდა ითქვას ადსორბციის უნა-
რის მქონე ნივთიერებებზე (ნახშირი, ბენტონიტი, ესპანური
მიწა და სხვ.).

გადაღებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ღვინის
ლექიდან მოხსნის თვალსაზრისით, არამედ იმიტომაც, რომ
გადაღების შედეგად ღვინის სხვადასხვა ფენის ერთმანეთში
შერევა და მთელი მასის გაერთვაროვნება ხდება.

კასრში გაჩერებული ღვინის ზოგიერთ ფენაში, ჯერ კიდევ
გადაღებამდე, შეიძლება ფარული დუღილი მიმდინარეობდეს.
ღვინოში შემავალი შეწონილი ნაწილაკები ჭურვლის ქვედა
ნაწილში იყრის თავს. ამასთანავე, სითხის ის ფენა, რომელიც
ჭურვლის კედლებს ეხება, სითხის დანარჩენ მასასთან შედა-
რებით არაერთგვაროვანია, ამიტომ ჭურველში ღვინის სხვა-
დასხვა ფენა წარმოიქმნება. შეიძლება, ჭურვლის კედლებზე
ნაწილაკების, საფუვრებისა და ბაქტერიების გამოლექვამ
უარყოფითად იმოქმედოს ღვინის განვითარებაზე, ვინაიდან
ისინი შებოჭავენ გოგირდოვან ანპიღრიდს, რასაც შეიძლება
ალკოჰოლური ან ბაქტერიული დუღილი მოჰყვეს.

თუკი მხედველობაში მივიღებთ ზემოთქმულს, ნათელი გახდება, რომ ლვინის მოუხსნელობა ლექიდან კუმუნისტული გოგირდოვანი ანპიდრიდის რაოდენობის შემცირების უკან დუღილის პროცესს გაძლიერებას. ასე რომ არ იყოს, აუცილებელიც არ იქნებოდა ლვინის ხშირი გადალება, რასაც აჩლა მიმართავენ ლვინის წარმოებაში.

ისეთი ლვინოები, რომლებიც შეიცავენ შაქარს და დაბალ-გრადუსიანები არიან, 5—6 თვეში ერთხელ უნდა გადავიღოთ და მასში 1 ლ-ზე 100—120 მგ ანპიდრიდი შევიტანოთ.

გადაღების ვადები და თარიღები, პირველადი გადაღების თარიღის დადგენისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ლვინის დადუღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტორი. საფუვრების ლექიდან ლვინის მოხსნას განსაზღვრავს შემდეგი პირობები:

- ყურძნის დაკრეფის დრო;
- ყურძნის ხედრითი წონა, შაქრიანობა;
- დადუღების ხარისხი;
- ლვინოში მუავათა შემცველობა;
- ლვინის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

რთველი ცველა რაიონში ერთდროულად არ იწყება. მისი ვადები ამა თუ იმ რაიონის ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებით განისაზღვრება, ამიტომ ლვინის პირველადი გადაღების თარიღი რაიონების მიხედვით სხვადასხვა იქნება.

შაქრის შემცველობა, ანუ დადუღების ხარისხი, ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია პირველადი გადაღების თარი-

ლის დადგენისათვის. თუ გვსურს, ღვინომასალას შერჩევა შა-
ქარი ამა თუ იმ პროცენტული რაოდენობით, ტურქულ უძვე-
სურველ დონემდე მიღწევისას იგი უნდა გადაჭრიტკუს წესშემცე-
გოგირდოვანი ანპიღრიდით დავამუშაოთ. გადალებისთანავე
ღვინო უნდა იფილტრებოდეს.

ისეთი ღვინოები, რომლებიც შეტად ექსტრაქტული და
მაღალგრადუსიანები არიან, გვიან დაიღულებენ და ძნელად
იწმინდებიან, ამიტომ, ცხადია, ასეთი ღვინოების პირით
გადაღების თარიღმა შეიძლება მარტამდეც კი გადაიწიოს.

ასევე მნიშვნელოვანია მეავათა შემცველობის ცოდნა.
რაც უფრო მცირე რაოდენობითაა მეავები, ღვინო მით უფ-
რო დროულად უნდა გადავიღოთ და პირუელ. საფუფრის ლექ-
ში ადვილად მრავლდებიან ისეთი ბაქტერიები, რომლებიც
მეავათა ბიოლოგიურ დაშლას იწვევენ. კერძოდ, შლიან
ვაშლმეავას.

გადაღების თარიღის დადგენისათვის მნიშვნელობა აქვს
ღვინის ჯანმრთელობის მდგომარეობის ცოდნას. ისეთი ღვი-
ნო, რომელიც დაყენებულია სეტყვით დაზიანებული, მიწი-
დან აქრეფილი ან სიღამპლეშეპარული ყურძნისაგან, დრო-
ულად უნდა გადავიღოთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში
ამგვარი ყურძნისაგან ჯანსაღი ღვინის მიღება შეუძლებელია.

საფუერების ლექიდან ღვინის მოხსნის თარიღის დადგე-
ნისათვის მხედველობაში უნდა მივიღოთ საწარმო-სამეურ-
ნეო პირობებისა და დეგუსტაციის მონაცემები. თუ ღვინო
ჯერ კიდევ დუღს და შექარს შეიცავს, ლექიდან არ უნდა
მოვხსნათ. თუკი ასეთი ღვინო მაინც გადავიღოთ და მას ხე-
ლოვნურად არ მოვაცილეთ მიკროორგანიზმები, შეიძლება
დუღილი უფრო გაძლიერდეს. თუ ახალგაზრდა ღვინოს გე-

მოხე შევამჩნიეთ არასასიამოენო სიმუავე, უნდა გრვაჩუროს
ლექზე და გადალება დავაყოვნოთ. პირიქით, თუ ჯუნიურშეული
მიმდინარეობს მფავათა დაშლა და შესაძლებელგარებულის წილით
ცესი გაძლიერდეს, დაუყოვნებლივ უნდა გადავიღოთ. ლვა-
ონში გოვირდწყალბადის არსებობა ნიშნავს იმას, რომ ლე-
ქიდან მოხსნა დავაგვიანეთ.

პირელადი გადალების დროის დადგენისათვის საჭიროა,
ყოველი ჭურჭლიდან ავიღოთ სინჯი და გავაანალიზოთ. უმ-
ჯობესია, სინჯი ჭურჭლის შუა ნაწილიდან ავიღოთ, ვინაიდან
ლექთან ახლოს მყოფ ნაწილში ლვინო უფრო მეტადაა შემ-
ღვრეული, მდიდარია ავტოლიზის პროდუქტებით და შესა-
ძლოა მას ლექის გემოც ჰქონდეს. მართალია, ჭურჭლის ზე-
და ნაწილში ლვინო დაწმენდილია, მაგრამ ჰაერთან შეხების
გამო ზედმეტადაა დაქანგული.

ლვინის მეორეული გადალების თარიღი შეიძლება უფრო
ზუსტად დავადგინოთ, ვიდრე პირელადისა, რადგანაც დალე-
ქვისათვის საჭიროა ექვსი კვირა მაინც. პირველადი გადალები-
დან მეორეულამდე ლვინო თავისი ტიპისათვის დამახასიათე-
ბელ თვისებებს ინვითარებს.

ზაფხულობით, მეორეულ და მესამეულ გადალებებს შო-
რის, ჰაერის მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების გამო,
ლვინო ტექნოლოგიური პროცესით გათვალისწინებული ოპე-
რაციებისა და, საერთოდ, ყოველგვარი გარეშე ფაქტორების
ზემოქმედების მიმართ უფრო ფაქიზი და მგრძნობიარე ხდე-
ბა. ამიტომ ეს მოვლენაც მხედველობაში უნდა მივიღოთ.

მეორეული გადალება უნდა დამთავრდეს სარდაფში ტემ-
პერატურის მომატებამდე, ე. ი. არაუგვიანეს აპრილისა.

შეიძლება, მესამეული და შემდგომი გადალებები კუპაჟის

ჩატარების საჭიროებით იყოს გამოწვეული. წოდებული მას
ბოლოებში ჩამოსხმის წინაც ახდენენ. (თუკი ღვინოში არის
ჭარბი ნახშირმეუვა გაზი, რომელიც გემოთი ჭურჭელი არ
ამ შემთხვევაში ღვინო დახურულად, პატარა ღვინო უძრავი და კა
უნდა გადავიღოთ.

ღვინის პირველადი გადაღება ტარდება ღულილის დამ-
თავრების შემდეგ. ჭანსალი ღვინო, რომელმაც დაიდეს და
დროულად და ნორმალურად, უკვე ნოემბრის დამდეგისათ-
ვის იქმინდება და საკმაოდ გამჭვირვალეა. ნოემბერ-დეკემ-
ბერი შესაფერისი დროა ღვინის პირველადი გადაღებისათვის,
თუმცა ხშირად ამ დროისათვის ღვინო კარგად ვერ იქმინდე-
ბა. ხდება ასეც: ის ღვინო, რომლის გადაღებასაც აპირებ-
დნენ, ჯერ კიდევ დუღს, შაქარსა და აქტიურ საფურებს შეი-
ცავს. ამ არასასურველმა ფაქტორებმა არ უნდა შეაფეროს
ღვინის გადაღება. ამ დროს გადაღება სასარგებლოა ღვინის
დავარგებისათვის. გადაღებისას ღვინის პატარა შეხება
ხელს უწყობს ღვინიდან ნახშირმეუვას მოცილებასა და სა-
ფურების გამრავლებას, რაც დადუღებას აჩქარებს. შესაძ-
ლოა, პირველადი გადაღებისას ღვინო სავსებით ვერ დაიწ-
მინდოს და მას სიმღვრივე გაჰყვეს, მაგრამ პირველად გადა-
ღებას მაინც დიღი მნიშვნელობა ენიჭება.

მეორეული გადაღებისათვის განკუთვნილია თებერვალ-
ბარტი. ეს არის პერიოდი თბილი ამინდების დადგომამდე.
მეორეული გადაღების დროისათვის ღვინო გამჭვირვალე
და კრიალა უნდა იყოს. პირველადიდან მეორეულ გადაღებამ-
დე დაუდუღარი ღვინო ამთავრებს ღულილს და მოტივტი-
ვი ნაწილაკები დაილექტება.

იმ შემთხვევაში, როცა მეორეული გადაღებისათვის

ლეინო ვერ დაიწმინდება, იგი აუცილებლად ქიმიურად მიკრობიოლოგიურად უნდა გამოვიყელოთ. უპირველეს მდგრად უნდა დავადგინოთ შაქრის პროცესტული შემცვეულებები უნტის ნოში (იგი არ უნდა აღმატებოდეს 0,1 %-ს) და შეკრიფიციურებულ არის, თუ არა ლეინოში მავნე მიკროფლორა. თუ ლეინო მლერიეა და მავნე მიკროფლორითაა დაავადებული, საჭიროა, მეორეული გადალებისთანავე გავფილტროთ და ჭარბი ღოზით გოგირდოვანი ანტიდრიდი დაუტბოლოთ. ამის შემდეგ ლეინოს განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ.

თბილი ამინდების დადგომისთანავე უნდა შეიქმნას პირობები დაუდუღარი ლეინოების საბოლოოდ დადუღებისათვის. საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ლეინის ტექნოლოგიური და მიკრობიოლოგიური კონტროლის სწორად ჩატარებაზე.

მესამეულ გადალებას ატარებენ შემოდგომის დადგომამდე — ავისტო-სექტემბერში, ხოლო მეოთხეულს — დეკემბერში.

გადალებათა თარიღების ზუსტად დადგენა და განსაზღვრა არ იქნებოდა გამართლებული, რადგან ტლანქი და ექსტრაქტული ლეინოებისათვის, აგრეთვე ისეთი ლეინოებისათვის, რომლებიც კარგად ვერ იწმინდებიან, სასურველია უფრო ხშირი გადალებები. ასეთი ლეინოებისათვის გადალებათა ვადებიც შესაბამისად შეიცვლება.

გადალების დროის დადგენისას მხედველობაში უნდა მივიღოთ იმ დღის მეტეოროლოგიური პირობები, რომელ დღესაც გადალებას ვაწარმოებთ. არ უნდა გადავიღოთ ლეინოები თბილსა და ცხელ დღეებში, ვინაიდან ამ დროს გაცხოველებით მიმდინარეობს ქიმიური ცვლილებები, კერძოდ, დაეან-

გვა. ახალგაზრდა ღვინოებისათვის ეს შეიძლება ხასურების კი იყოს, ხოლო რაც შეეხება დაცველებულ ღვინოებს, მათ-თვის ზიანის მომტანია. ჰაერის წნევის დაწევა უარავს წლები ॥ სურველად მოქმედებს ღვინოზე: გამოიყოფა ჭრის შემთხვევაში გამოიყოფა ნილი ნახშირმეავა, რაც ღვინის ამღვრევას იწვევს. ასევე არა-სასურველია გადაღება ძლიერი ქარების დროს, ვინაიდან ქა-რის მიერ ჰაერში ატაცებული მტერი შეიძლება შეიჭრას შენობაში და ღვინო დააბინძუროს.

ღრუბლიან, თბილ ამინდში ღვინო იმღვრევა, ამიტომ გა-დაღება უნდა ჩავატაროთ გრილ და მშრალ ამინდში.

მართალია, ღვინის ხანგრძლივად გაჩერება ლექზე სასურ-ველი არ არის, მაგრამ არა ყოველთვის და არა ყოველგვარი ღვინისათვის. სალი ღვინის ლექზე გაზაფხულამდე გაჩერება ღვინის ხარისხზე უარყოფითად არ მოქმედებს, პირიქით, აუმჯობესებს კიდეც მას: ერთის მხრივ, გლიკოგენის ხარჯზე დამატებით წარმოიქმნება სპირტი, მეორეს მხრივ, საფუვრის დაშლის პროცესში ღვინოს მატებენ სურნელებას, აჩქარე-ბენ მის დავარგებას და გემოს აუმჯობესებენ. ამას ქართული ღვინოების დაყენების ძველისძველი ტრადიციაც აღასტუ-რებს.

ქვევრში ღვინო ჰაერის უანგბადისა და მაღალი ტემპერა-ტურის ჭარბ ზემოქმედებას არ განიცდის, მაშასადამე, ქვევრ-ში დაუანგვით პროცესები შემცირებულია, ეს კი იწვევს ამინომეავების დაგროვებას ღვინოში, რაც მის ხარისხს აუმ-ჯობესებს.

არის შემთხვევები, როცა გაზაფხულამდე ლექზე გაჩერე-ბის შემდეგ ღვინოს ლექის გემო აქვს. საფიქრებელია, რომ ეს გამოწვეულია არა საფუვრის დაშლის პროცესში ტებით,



არამედ დაავადებული და უხარისხო ყურძნით, დაწილებულ
პროცესის არასწორად ჩატარებით, ღვინის შეუცვაჭულებელი ფულები
ტოვებით, რის გამოც ძლიერ იქანგება როგორც წრულობრივი კანკენი,
რაც, რასაკვირველია, არასასურველი მოვლენაა.

თეთრი ღვინო წელიწადში სამჯერ უნდა გადავიღოთ:
პირველად — ნოემბერ-დეკემბერში, მეორედ — მარტში, მე-
სამედ — აგვისტო-სექტემბერში; წითელი ღვინისათვის კი
ოთხჯერ გადალებაა საჭირო.

ადრე გაზაფხულზე ახალი ღვინო ლექზე რომ დავტოვოთ,
თბილი ამინდების დადგომისთანავე იგი გაფართოვდება, ლე-
ქი აიმლვრევა და ღვინოს შეერევა. მეორე წელს საკმარისია
ორჯერ გადალება — გაზაფხულსა და შემოდგომის დასაწყისში,
მესამე წელს გადალება უნდა ჩავატაროთ ერთხელ, მეოთხე
წელს კი ღვინო მზად იქნება ჩამოსასხმელად.

გადალების ვადებისა და თარიღების დადგენისათვის უნ-
და გაეითვალისწინოთ ღვინის ტიპი, მისი შედგენილობა და
მდგომარეობა. ხნიერი ღვინოები წელიწადში ერთხელ უნდა
გადავიღოთ, ტლანქი და მაღალექსტრაქტული ღვინოები კი
უფრო ხშირად, ვიდრე თხელი თეთრი ან არომატული ღვი-
ნოები. შემაგრებულ ღვინოებს უფრო ხშირი გადალება სკირ-
დებათ, ვიდრე სუფრისას.

ღვინის გადალების მეთოდები. არსებობს ღვინის გადალე-
ბის ორი მეთოდი:

- ა) ღია,
- ბ) დახურული.

ღია გადალების მიზანია, დროულად მოვაცილოთ ღვინო
ლექს და ხელი შეცვაჭულოთ მის გამდიდრებას ჰაერის უანგბა-
დით, რათა ღვინის შემცველი არამდგრადი ნაწილაკების ლექ-



ში გადასვლა დავაჩქაროთ. ლია წესით გადაღება  ლოა ისეთი ღვინოებისთვისაც, რომელთაც შემოტკიცებული გირშფალბადის სუნი აქვს.

დახურულ გადაღებას იმ შემთხვევაში მიმართავენ, როცა სურთ ღვინის ლექიდან ისე მოხსნა, რომ იგი ჰაერს არ შეეხოს და უანგბადით არ გამდიდრდეს. დახურული გადაღება ძირითადად დაძველებული და არომატული ღვინოებისათვის ხორციელდება.

დაძველების მეორე წლიდანვე უნდა ვეცადოთ, რომ ღვინო ნაკლებად შეეხოს ჰაერს, რადგან დაძველებულ ღვინოში უკვე დამთავრებულია ის პროცესები, რომლებიც დაყავშირებულია უანგბადის მოქმედებასა და სხვადასხვა შემცველი ნაწილების დალექვასთან, ამიტომ გადაღება დახურულად უნდა ჩავატაროთ.

გადაღების ლია წესი უმთავრესად გამოყენებულია ახალგაზრდა ღვინოებისათვის, დახურული—ძველი ღვინოებისათვის, თუმცა შეიძლება დახურული წესით გადავილოთ ისეთი ახალი ღვინო, რომელსაც ესი აქვს, ე. ი. შავდება. ღვინის გაშვების მიზეზი დაბალი მუავიანობაა. მდგომარეობის გამოსასწორებლად ასეთი ღვინო უნდა შევურიოთ მაღალმუავიან ღვინოს, ანდა მიუუმატოთ მას ლიმონმუავა და მუავიანობა მხოლოდ 0,5 %-ით გავზარდოთ. გაშვების მიზეზი შეიძლება იყოს ტანინის სიჭარბეც, რაც ახალი, ცუდად დამუშავებული კასრებისაგანაა გამოწვეული. ასეთ შემთხვევაში კარგია ღვინის განიავება. ჰაერის უანგბადი ხელს უწყობს რკინის მარილების ტანინთან შეერთებას. შესაძლებელია, წარმოშობილი შავი ფერის შენაერთი ღვინოს გაწებვით მოვაცილოთ.

მეორეული გადაღების შემდეგ ნაზი და ხარისხოვანი ღვი-

Էռջենու პայմանական Շեշեծա Սաստրալը օլար առնեն. ամրէ Շեմիչաց
մատո գաճաճեծա Ծածուրուլո Ծյեսոտ պնդա մոեցեցէ քարութիւննեալ
Սաստրալը յասրեծու Սապոնիս Հայրածի մոյեցեցէ պահապահապահ
ծա. Ըզոնո մուճցեծա Սապոնիս, հու յամու աշխարհա մուրութեա.
Ըզոնո նայլեծա Նուճութեա, Յոնայօնան մոլուալուրո յանցեա-
ծո, Յութիւ Ըզոնոմութ մուճիւթեալու, յասրու Ծյեհիս Պարութեա
ուղուլութեա. Ծասաժայլեծլա գանցութենուլո Ըզոնու յասրե-
ծոն Սապոնիս Հայրածի մոյեցեցու գահերեծու Շեմտեցուամո մո-
սո Եմուրա Շեշեծա Սապոնու օլար առնեն. Շեշեծա հարարութեա
մեռութ գաճաճեծուսա, հաւ պաթալութ յասրու Պայուրուս
Եպիկութան Ելութ.


Ըզոնու գաճաճեծու Սամուալը անու: ա) Գաճալը ծա և ո-
բունու տ.

Ըզոնու յարենեծսա լա յաճամթշայեծել Առնեյթեա Ըզոնու
յաճաճեծս Եմուրա Սութոնու լամեարեծու անարմութեա. Սութո-
նո Մարտարեսա յասրեծու մոտավուսեծլո Ըզոնու յաճաս-
ճանա օնմարեծա. ամուստու Սյելյայլունու Հանունու մոլու,
ան Հանունու մոլուան Շեյրայեծլո Տպունունու յաճա-
ճեց.

Հանունու Սութոնու տապէց ամացիւթեա ռեյանս, հոմլու Սա-
մուալը յաճաճեծու Շեշեցունու, մոլու յամունարե Ըզոնու նայածո
մուսուրա Շեշեցունու. Եշիւթապ, ամցարու Սութոնու յաճար-
ճանա յասրութան յասրի մուսայերեծլուն. Խոցուրու Սաթարմունի
Ըզոնու յաճաճեծս անարմութեա Շեմութենուրա: ծալունունու
ծուրու նութա նաթունու Շեքահազտ նաենունուազա յածո, հոմլուու
ազուտարեծս Բնեցա Ըզոնու նութապուհի լա մաս Հանունու մոլու-
ծութ նութա Սահուլի մոտավուսեծլո յասրեծու յաճաճենու. յև
Ցետութ յարա Շեճացս ուժուա յ. թ. Ծածուրուլո յաճաճեծու
ըրուս.

բ) Գաճալը ծա Ծյու մ ծու տո. գութ յարենեծսա լա յաճա-

მშუშავებელ პუნქტებში ღვინის გადაღებას წარმოადგინ
ტუმბოებით. ტუმბო არის სხვადასხვა ზომისა და ჭრის მიზნით
აენტრილანული, ფრთიანი, დგუშიანი, ხრანიანი და სარიტუანი
ფართოდაა გავრცელებული დგუშიანი ტუმბოები H-11
და H-21 (ნახ. 1).



ნახ. 1 დგუშიანი ტუმბო H-21

H-21 მარკის ტუმბოს მექანიზმი მოძრაობაში მოჰყავს ელექტროძრავას, რომლის სიმძლავრე 2,1 კვტ-ია.
ტუმბოს აქვს ავტომატური დამცველი მექანიზმი დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე დამცველი სარჩეველი, რომელიც უზრუნველყოფს ტუმბოს გაჩერებას ჭურჭლის ღვინით ავსების შემთხვევაში. ტუმბოს თანაბაზი მუშა-

ობა ხორციელდება შეკუმშული ჰაერის მეშვეობით.  ტიპის სტაციონალური ტუმბოს წარმადობა უდრის რეცეფციულ/სთ.

მეღვინეობაში ფართოდაა გავრცელებული ცენტრიდანული ტუმბოები. მართალია, მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი უფრო ნაკლებია, ვიდრე დგუშიანი ტუმბოებისა, მაგრამ ისინი ხასიათდება ზოგიერთი უპირატესი თვისებით:

ა) კომპაქტურებია;


ბ) უფრო გამოსაყენებელია ისეთი შემთხვევისათვის, როცა საჭიროა მაღალი წარმადობის მიღწევა შედარებით მცირე დაწნევის პირობებში;

გ) ამ ტუმბოებით უფრო ადვილია ისეთი სითხეების გადატუმბვა, რომლებიც შეიცავენ მკვრივ შეწონილ ნაწილაკებს (მათ არ აქვთ დამცველი სარქველები დაბინძურების თავიდან ასაცილებლად). ასეთი ტუმბოები კარგია მღვრიე ღვინოების გადასატუმბავად;

დ) გაფილტვრისას ამგვარი ტუმბოების გამოყენება მიზანშეწონილია, რადგან ფილტრზე ნალექის მიმატებისას ეს ტუმბო ავტომატურად ამცირებს ღვინის მიწოდებას, ამავე დროს დაწნევას ზრდის.

დგუშიანი ტუმბოების უპირატესობად, ცენტრიდანულთან შედარებით, ჩაითვლება ის, რომ ასეთი ტუმბოები კარგია ღვინის დიდ სიმაღლეზე ასატუმბავად (10 მეტრზე მაღლა).

ტუმბოს უერთდება რეზინის ორი მილი: შემწოვი და გადამცემი. შემწოვ მილს ჩაუშვებენ ღვინოში, ანდა შეუერთებენ სპეციალურ ონკანს (ნახ. 2, ა) და ასე ათავსებენ კასრში ან ბურში. რეზინა-ბეტონის რეზერვუარებიდან ღვინის გადაღე-



ნახ. 2. ონკანები და ქუროები.

ბის დროს რეზინის მილს უშუალოდ რეზერვუარის ონკანს უერთებენ.

გადამცემ მილს ჩაუშვებენ კასრში ან ბუტში, რომელშიც სურთ ღვინის გადატანა. ხშირად მილს ბოლოში უკეთებენ სპეციალურ ონკანს (ნახ. 2, ბ), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ღვინის დინება მილში სურვილისამებრ შევაჩეროთ. მეტად მოსახერხებელია ონკანი დამცველი სარქველითურთ (ნახ. 2, გ), რომელიც ავტომატურად ჩაკეტავს ონკანს კასრის ღვინით ავსებისთანავე.

რეზინის შემწოვი მილი ბრეზენტის საფენიანი იძისათვის
მზადდება, რომ შეწოვის დროს ამგვარმა მილმა შეინახული
ნოს მდგრადობა და შემწოვმა ძალამ არ იმოქმედს უკავე
ფორმაზე. (რეზინისა და ბრეზენტის შრეებს შჩინს ფრილ
დის ხვეულია ჩაყოლებული). ასევე მზადდება გადამცემი მი-
ლი. ბოლო დროს ნეილონის, ვინიპლასტისა და სხვა მასალე-
ბისაგან დამზადებული მილები გავრცელდა. ყველაზე მეტად
გავრცელებულია ისეთი მილები, რომელთა დიამეტრია 38
და 52 მმ, ხოლო სიგრძე — 4-5 მ (შემწოვი მილებისათვის)
და 20 მ (გადამცემი მილებისათვის). მცირე სიგრძის მილების
ერთმანეთთან დაკავშირება შესაძლებელია სპეციალური შე-
მაერთებელი ჭუროებით (ნახ. 2. დ, ე, ვ, ზ).

ყოველდღიურად, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, მილე-
ბი აუცილებლად უნდა გაირეცხოს ცივი წყლით (ცხელი
წყლით მილები ზიანდება), განცალკევდეს ერთმანეთისაგან
და გაშრეს.

ათ დღეში ერთხელ მილები უნდა გაიწმინდოს ცილინდ-
რული ფორმის სპეციალური ჯაგრისებით: მილში გატარებუ-
ლი კანაფის ბოლო ნაწილს გამოაბამენ ჯაგრისს და კანაფის
გამოწევით ჯაგრისს მილში გამოატარებენ. ათ დღეში ერთ-
ხელ მილებს 0,5—1 %-იანი გოგირდმუავას ხსნარით ამუშა-
ვებენ.

ხმარებისას უნდა ვერიდოთ, რომ მილი არ მოიგრიხოს
და არ გაიღუნოს, რადგან ამგვარ შემთხვევაში მისი ზედაპი-
რი დასკდება.

უკანასკნელ წლებში მრავალ ქვეყანაში (აშშ, ინგლისში
გვირ, გდრ, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი და სხვ.) მე-
ტი უურადღება ერთხრახნიან ტუმბოებს ექცევა. დგუშიანთან

შედარებით, ერთხრახნიან ტუმბოს აქვს რამდენიმე



ტესობა:


ცარისა და
გამჭვირითა

- 1) იაფია მისი წარმოება.
- 2) კომპაქტურია.
- 3) თანაბრად აწოდებს სითხეს.
- 4) აქვს ძლიერი თვითშეწოვის უნარი.
- 5) უნივერსალურია: გამოიყენება დურდოს, საფუვ-
რების, ლექის, ტებილის, ლვინომასალის,
ლვინის გადასატუმბავად.
- 6) აქვს ძლიერი დაწნევის განვითარების უნარი.

სამამულო წარმოების ტუმბოებიდან საბჭოთა კავშირში
გავრცელებულია სპეციალურად ლვინის წარმოებისათვის
დამზადებული ერთხრახნიანი უნივერსალური ტუმბოები:
1 B 12/5 B და 1 B 20/5 B (ნახ. 31), რომელთა მწარმოებ-
ლობაა 10 და 16 მ³/სთ.

ჩვენში გავრცელებულია აგრეთვე უცხოური წარმოების
ტუმბოები: Limited-ის ფირმის (ინგლისი) Mono Pamps და
Hilge- ის ფირმის (გერმ.) Vinova-B მოდელის, რომელთა
დანიშნულებაა, გადატუმბოს დურდო, ტებილი, ლვინომა-
სალა, ლვინო, საფუვრები, მოხსნას ლექიდან ახალგაზრდა
ლვინო. მათ ტუმბოს აქვთ სხვადასხვა ზომის ფილტრები. მისი
სამუშაო ხრახნი დამზადებულია უფანგავი ფოლადისაგან.
ცნობილია აგრეთვე Seitz-ის (გერმ.) ფირმის უნივერსალური
ტუმბო Volta (ნახ. 4.). ტუმბოს დახმარებით შესაძლებელია
ვაჭარმოოთ ლვინის როგორც ღია, ისე დახურული გადალება.

ღია გადალების დროს კასრიდან, ბუტიდან, ან რკინა-ბე-
ტონის რეზერვუარიდან ლვინოს ონკანით თვითდინებით ჯერ



ნახ. 3. უნივერსალური ტრაქტორი I B 20/5 B.


გეჯაში ჩამოუშვებენ, ხოლო შემდეგ გეჯიდან მიმღებ ჭურ-
ჭელში გადატუშბავენ.

დახურული გადაღების დროს შემწოვ მიღს უშეუალოდ
ბუტის ან კასრის ონკანთან შეაერთებენ. კასრში გადაღები-
სას სპილენძის (მოვერცხლილ ან მოკალულ) სპეციალურ
ბუნიქს (ნახ. 5ა) იმ გადამცემი მიღის ბოლოზე ჩამოაცვავენ,
რომელიც კასრის ფსკერამდე დადის. სხვა ოპერაციები ისე-
თივეა, როგორიც ღია გადაღებისას.

ღვინის დახურული გადაღების დროს დიდი მნიშვნელო-
ბა აქვს იმას, რომ მიღები დაუმსკდარი და ერთმანეთთან


პეტრეტულად იყოს შეერთებული, თუ გვინდა, რომ დევი-
პარტან შეხებისა და უანგბადით გამდიდრებისაგან და-
ვიცვათ.

უკრანული
გიბლიბორივა



ნიზ. 4. უნივერსალური ტუმბო Volta.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ ტუმბოთი ღია გადაღე-
ბისას ღვიძოში 6 მგ/ლ უანგბადი იხსხება. ტუმბოს საშუა-
ლებით ღვიძის დახურული გადაღების დროსაც ღვიძო უანგ-
ბადით საკმაოდ მდიდრდება (4 მგ/ლ). უანგბადით გამდიდ-
რებისაგან ღვიძოს კარგად იცავს სიფონის საშუალებით გ-



ნახ. 5. ბუნიკები.

დაღება. ამ დროს ლვინოში იხსნება არა უმეტეს 1 მგ/ლ უანგბადისა.

თუ გვინდა, ლვინო ჰაერისაგან სავსებით იყოს იზოლირებული, უმჭობესია. გადაღება ზემოალნიშნული ნახშირმეცვას დაწნევის მეთოდით ხდებოდეს.

საზოგადოდ, ტუმბოსა და ხელჩაფის საშუალებით მხოლოდ ახალი ლვინოები გადაიღება. ძველი, დავარგებული ლვინოები კი ჰაერთან შეუხებლად, სიფონით (საბერველი, CO_2 -ის წნევა) უნდა გადავილოთ.

სასურველია, ლვინის გადაღებამდე და გადაღების შემდეგ განისაზღვროს უანგვა-ალდგენითი პოტენციალი (Eh), რაც ჯვიჩვენებს, თუ როგორ წარვმატოთ შემდგომი სამუ-



შაოები ღვინის დაძველების პროცესში. უანგვა-აღმაგენი-
თი პოტენციალის გადიდებული მაჩვენებელი ნაკლებ შემცირებ
რომ გადალება არასწორად ჩატარებულა. ეს ჭიათურული ყველ
რისხზე უარყოფითად მოქმედებს.

იმ შემთხვევაში, როცა სასურველია ღვინის გამდიდრება
ჭიათურული უანგბადით, კასრებიდან გეჭაში ჩამოსხმული ღვინის
გადალებას სიფონის საშუალებით აწარმოებენ. გადამცემი
მილის ბოლოზე ჩამოაცვამენ სპეციალურ გამშეცვას (ნახ.
5, ბ), რომელიც ხელს უწყობს ღვინის ჰაერთან შეტაც შეხე-
ბას და მის უანგბადით გამდიდრებას. ამ მეთოდის გამოყე-
ნების შედეგად ღვინოში 6 მგ/ლ უანგბადი იხსნება.

ღვინის გადასალებად და გადასატუმბავად ჩვენში ბოლო
ხანს ფოლადისა და ოუჯის მილების მაგივრად მინის მილე-
ბის გამოყენება დაიწყებს. მინის მილი ქიმიურად უფრო გა-
მძლე და მყარია და მისი გაწმენდა ნაკლებ დროსა და სა-
შუალებებს მოითხოვს.

გავრცელებულია მინის მილის სამი ტიპი:

- 1) CT-8. უძლებს 785 კნ/მ² /8 ატმ/.
- 2) CT-4. „ 397 კნ/მ² /4 ატმ/.
- 3) CT-B. მისი სიგრძეა 1,5—30 მ. შიგა დიამეტრი —
13—40 მმ, ხოლო მილის კედლის სისქე — 2,5—10 მმ.

საბჭოური წარმოება უშეებს თერმოგამძლე მინის მი-
ლებს, რომლებიც 90—1000° ტემპერატურას უძლებს.

მინის მილგაყვანილობა სოდის 1%-იანი ცხელი ხსნარით
პერიოდულად უხდა ირეცხვებოდეს. როცა მილები ძალიანა
დაბინძურებული, სოდის ხსნარს უმატებენ ჩაუმჯრალ კირა (15 კგ 50 დალ-ზე) და ხელმეორედ რეცხავენ.

ბოლო ხანს დასაცლეთ ევროპის მსხვილ საწარმოებში
დიდი ტევადობის ჭურჭლიდან ღვინის გადაღების ქართულ ჭურჭლი
ბორების მაგივრად კომპრესორებს ხმარობენ. ტექნიკურ მარტინ
ჰაერით სარგებლობა გადაღების, ფილტრაციის, ჩამოსხი-
სა და სხვა ოპერაციების ჩატარების დროს მუშაობას შესა-
მჩნევად აადვილებს.

ღვინის მოხსნა ლექიდან. როცა ფილტრის დაუხმარე-
ბლად ღვინის ლექიდან მოხსნასა და გადაღებას ვატარებთ,
საჭიროა დიდი სიფრთხილე, რათა ლექი არ ამოძრავდეს
და დაწმენდილი ღვინო არ აამღვრიოს. ამიტომ, როცა ღვი-
ნის დონე ონჯანის პირამდე დაიწევს, სითხის დენა უნდა
შეეაჩეროთ და ჭურჭელი ფრთხილად ავწიოთ ერთდ ბოლო-
დან ისე, რომ დაწმენდილი ღვინო მიაღეს ონჯანს და თვით-
დინებით ჩამოიწრიტოს. აյ მხედველობაში უნდა მივიღოთ
ის ფაქტი რომ ონჯანის მილში ჰაერის შესვლის შედეგად
შეიძლება ლექი ამოძრავდეს და ღვინო აამღვრიოს.

როგორ გავიგოთ, როდის შევწყვიტოთ გადაღება, რათა
ლექი ღვინოს არ შეეხოს? ამის შემოწმება შეიძლება სათვალ-
თვალო მინაში მზერით (თუკი ჭურჭელს ქვეს ასეთი რა?)
და ონჯანის მილიდან ჩამონადენი ღვინის ნაკადზე დაკვირ-
ვებით. ჭურჭელში ღვინის დონეს საზღვრავენ აგრეთვე
ჭურჭლის კადელზე ხელის მირტყმის შედეგად გამოცემუ-
ლი ხმით.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ შეიძლება ბოლო-
მდე გალებულ ონჯანში გამდინარე ღვინის ძლიერ ნაკადს
ლექი გაჟყვეს, ამიტომ ონჯანის თანდათანობითი დაკეტვით
ნაკადის სიჩქარე უნდა შევამტკიროთ, ხოლო ისეთ შემთხვე-
ვებში, როცა ვიყენებთ ფილტრს, ამღვრევა არ არის საშიში,

ვინაიდან ღვინოსთან ერთად მოყოლილ ლექსი ფილიპი
დაიჭირს.

ისეთი ჭურჭელიდან, რომელსაც ონჯანი არა ჭირდებოდა ეს გადააქვთ შემდეგნაირად: ჩეზინის მილის ერთ ბოლოს ჩაუშვებენ ღვინიან ჭურჭელში, მეორე ბოლოს კი დაბლა მდებარე ცარიელ ჭურჭელში და ღვინო თვითდინებით გადამოდის. უფრო ხშირად ტუმბოს დახმარებით გადაღებას მიმართავენ: შემწოვ მილს შეუერთებენ ღვინიან ჭურჭელს, გამშვებ მილს კი მიმღებ ჭურჭელს და ტუმბოს ჩართავენ.

ღვინის გადაღების შემდეგ კასრს გადმოაპირქვავებენ და ქვეშ მოყოლილი ხვრელიდან ლექს გამოუშვებენ. ბურებიდან ლექს იღებენ შემდეგნაირად: მოხსნიან კარს და სპეციალური ნიჩბით ლექს გარეთ გადმოდენიან.

შეიძლება, ლითონის ტანკებიდან და ცისტერნებიდან ონჯანის გზით ღვინის ნაკადი თავისუფლად გამოვუშვათ მანამდე, სანამ მას ლექი არ შეეპარება. მაგრამ აქაც სიურათილეა საჭირო. ონჯანიდან გადმონადენი ნაკადის სიჩქარე არ უნდა გაეზარდოთ, ვინაიდან ონჯანში ღვინის ძლიერი შეწოვის შედევად შეიძლება დაწმენდილ ღვინოს ლექი გამოყვეს.

იმ შემთხვევაში, როდესაც დიდი ზომის ცენტრიფუგას გამოვიყენებთ, შეიძლება ლექზე დაეტოვოთ მცირეოდენი დაწმენდილი ღვინო და შემდეგ მთლიანი ცენტრიფუგირების საშუალებით საფუვრების ლექს დარჩენილი სითხე მოვაკილოთ.

ლექიდან ღვინის მოცილება შეიძლება აგრეთვე ლექნარევი ღვინის ფილტრზებში გატარებით. განსაკუთრებით



ყურადღება უნდა გამიხვილდეს ჭურჭლის გარეცხვაზე ა-
რყელი გადალების შემდეგ, რადგან ამგვარ მუსიკურნეული
საფუგრების, ღულილის სხვადასხვა პროდუქტისა შემდეგ მუსიკის
ქვის ნარჩენები დიდი რაოდენობითია, საჭიროა მათი დროუ-
ლად მოცილება, რათა შემდგომში ამ ნარჩენების უარყო-
ცითი გავლენა ღვინოზე თავიდან ავიცილოთ.

აერაცია. აერაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს
ახალგაზრდა ღვინოებისათვის, განსაკუთრებით ღულილის
დამთავრების შემდეგ. როცა საჭიროა ღვინისაგან ცილოვან
ნაერთთა გამოყოფა და ღვინის დამწიფების დაჩქარება.
ზოგჯერ ძლიერი აერაცია არასასურველ გავლენის ახდენს
ღვინის ბუკეტზე, ეს ეხება ისეთ ღვინოებს, რომელთაც მა-
ღალი ხვედრითი წონა და ექსტრაქტიანობა ახასიათებს.

ღვინის მოძრაობა, გაქარვა, დაკანგვითი პროცესები,
დამატებითი გაშებვა ღვინისაგან უცხო სუნისა და გემოს
მოცილებას უწყობს ხელს.

გადალების ღროის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა
ენიჭება ღვინოში გახსნილი ჟანგბადის შემცველობის ცო-
დნასა და ჟანგვა-აღდგენით პოტენციალს.

გადალებისას ჰაერთან შეხების სანგრძლივობა დამოკი-
დებულია ღვინის ტიპსა და მდგრმარეობაზე. როცა გვხურს,
ღვინოს შევუნარჩუნოთ ვაზის ჯიშური არომატი, ღვინის
ჰაერთან შეხების ხანგრძლივობა უნდა შევამციროთ, ხოლო
როცა გვინდა, ღვინოს გამოუმუშავდეს სიძველის არომა-
ტი, ჰაერთან შეხების ხანგრძლივობა უნდა გავზარდოთ.

მაღალექსტრაქტული და მაღალცილოვანი ღვინოებისა-
თვის სასურველია ჰარბი რაოდენობის ჰაერის ჟანგბადი,
ვინაიდან ისინი ჟანგბადის მიმართ არ არიან ისე მგრძნობია-

რენი, როგორც თხელი ლვინოები და დაუანგვითი პროცესები მათთვის სასურველი და სასარგებლოა. უსრულეული

აერაციის ჩატარებისას უნდა გავითვალისწილებული ნის მიერ უანგბადის შეთვისების უნარი, რათა ამღვრევისა და შებურვის შემთხვევაში სულფიტირების გზით ლვინის ალდგენის ლონისძიებანი სწორად და კარგად ჩავატაროთ.

ლვინის მიერ უანგბადის შეთვისების ინტენსივობა დამოკიდებულია გარემო პირობებსა და გადალების სხვადასხვა წესზე: თუ ლვინოები გადავიდეთ შეუნჯლრევლად, სწორად და თანაც ძალა, რომ ლვინის გამოსაშევები ხერელი სითხეში იქნება ჩაშვებული, მასში უანგბადის შეუმჩნეველი რაოდენობა გაიხსნება, ხოლო შენჯლრევისას ლვინო ეხება ჰაერს და უანგბადით საკმაოდ მდიდრდება. ტემპერატურის აწევასთან ერთად უანგბადის ხსნადობა ლვინოში მცირდება:

ისეთი ლვინოები, რომელთაც დიდი რაოდენობით აქვთ შშრალი ექსტრაქტი, უანგბადს მცირე რაოდენობით ითვისებენ. 20° -ზე უანგბადის ხსნადობა ლვინოში შეადგენს $5,6—6$ მგ/ლ, ხოლო 12° -ზე — $6,3—6,7$ მგ/ლ.

ლვინო მეტ-ნაკლებად ყოველთვის შეიცავს ნახშირმედვი გაზს. თუ ეს გაზი მცირე რაოდენობითაა ლვინოში, ვერ აფერხებს მასზე უანგბადის ზემოქმედების პროცესს, ხოლო თუ გაზი ვარბადაა, სიოხის ხედაპირზე გროვდება და ლვინის მიერ უანგბადის შეთვისებას უშლის ხელს.

ჩიბერო-გაიონის მონაცემებით, ისეთი წითელი ლვინო, რომელიც გამდიდრებულია უანგბადითა და უპაკიროდაა შენახული, სამი დღის განმავლობაში 15° -ზე დაახლოებით $2,5$ მგ/ლ უანგბადს ხარჯავს.

ეს ეხება ძეგლ თეთრ ღვინოსაც, რომელიც 40 მგ/ლ თავისუფალ გოგირდოვან ანჭიდრიდს შეიცავს. გოგირდოვანი ან-ჰიდრიდით დამუშავებელი ღვინოების უანგბადის შტატის ქმის უნარი დამუშავებულთან შედარებით ორჯერ გაიზრდეს.

ხშირად ღვინოები ჰაერზე დიდი ხნის განმავლობაში ყოფილია კარბად იქრთებენ უანგბადს, რაც მათი შეფერილობის შეცვლას იწვევს: ისინი მუქდებიან და იმღვრევიან. ნალექი ამ დროს შეიცავს სამვალენტოვან რეინას. მაღალი მეავიანობის დროს წითელი ღვინოების ნალექში არის რეინის ფოსფატი (თეთრი კასი), ხოლო დაბალი მეავიანობის დროს შეიძლება აღმოვაჩინოთ რეინის, მთრიმლავ და მღებავ ნივთიერებათა შენაერთი (შავი კასი).

თუ ღვინო დაყენებულია დაობებული ყურძნისაგან, აერაციის დროს ის ამღვრევისადმი მიღრეკილებას ამეღლავნებს. ეს გამოწვეულია ოქსიდაზების ჯუფის დამუანგველი ენზიმის არსებობით, რომელიც მოქმედებს მთრიმლავ და მღებავ ნივთიერებებზე და ის უხსნად მდგომარეობაში გადაძყავს.

ოქსიდაზური კასით დაავადებული ღვინო უნდა გაიწებოს, გაიფილტროს და დასასვენებლად გაჩერდეს. შესაძლებელია, ღვინოს, რომელიც მიღებულია წნევის ქვეშ ყურძნის დიდი ხნით გაჩერების შემდეგ, ჰაერის უანგბადის ზემოქმედების გამო ოქსიდაზური კასისადმი მიღრეკილება ჰქონდეს. წითელ ღვინოებზე ოქსიდაზური კასის მავნე ზემოქმედებას თავიდან ავიცილებთ, თუ კი დუღილის წინ ღვინოში შევიტანთ გოგირდოვან ანჭიდრიდს (50—100 მგ/ლ). დუღილის დაწყებისთანავე გოგირდოვანი ანჭიდრიდი უერთდება ძმარმება ალდეჰიდს და მოქმედებას წყვეტს.

ისეთი ღვინოები, რომლებსაც აქვთ შებურვისადმი ვის-

წრაფება, ჰაერის ჟანგბადის მიმართ მგრძნობიარეა. რასა-
კვირველია, ასეთი ღვინოებისათვის უმჯობესად წარმოქმნა შეძლება
სულფიტირების ჩატარება პირველადი გადალებში წინ; ჩატარების
გადალების პროცესში ღვინოზე ჰაერის ჟანგბადის არასასურ-
ველი მოქმედება თავიდან ავიცილოთ.

სულფიტირებას დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინის სტაბი-
ლიზაციისა და საბოლოოდ ჩამოყალიბებისათვის. ამ საკით-
ხის გადაწყვეტისას უნდა გავითვალისწინოთ: თითოეული
ღვინის ტაპი, მევენახეობის რაონი, ამ რაონის ნიაღავობ-
რივ-კლიმატური პირობები, ყურძნის სიმრიცე. სულფიტირე-
ბის დროს ანჭიდრიდის რაოდენობის დადგენისას ანგარიშგა-
საწევია აგრეთვე ტებილის დამუშავების მეთოდები, დული-
ლის პროცესის ჩატარება, გადალების საშუალებანი, აერაცი-
ის პირობები, დოზები და სხვ.

როცა ელაპარაკობთ გოგირდოვანი ანჭიდრიდით ღვინის
დამუშავების შესახებ, მხედველობაში უნდა მივიღოთ სამი
რამ:

- 1) რისთვის ვატარებთ სულფიტირებას.
- 2) როგორი საშუალებებითა და მეთოდებით.
- 3) როდის და რა რაოდენობით.

ღვინისათვის გოგირდოვანი ანჭიდრიდის ორგვარი დანიშ-
ნულება აქვს: იგი არის აღმდგენელი და ამავე დროს კონ-
სერვანტი.

რაში გამოიხატება გოგირდოვანი ანჭიდრიდის აღდგენითი
თვისებები? იგი ღვინის სტაბილიზატორის როლში გამოდის:
გოგირდოვანი ანჭიდრიდი ხელს უშლის და აფერხებს არასა-
სურველ დაეანგვით პროცესებს ტებილსა და ღვინოში. ღვი-
ნის ზდგრადობა, ჟანგბადისადმი შეგვებლობისა და მისი შეთ-

ვისების უნარი დამოკიდებულია იმაზე, თუ სულფიტინების
როგორ ჩავატარებთ.

ურუენულებელი

კასრში ღვინის განვითარება-ჩამოყალიბებულებულების შეტანილი თავისუ-
ფალი გოგირდოვანი ანჭიდრიდი. ისეთი ღვინო, რომელშიც
ჭარბად არის შეტანილი გოგირდოვანი ანჭიდრიდი, ცუდად
ვითარდება, ფერხდება დაძველებისა და დამწიფების პროცე-
სი, ღვინო ისეთი ხალისიანი და სრული არ არის, როგორც
ნორმალური სულფიტირებძს დროს იქნებოდა.

მცირედ სულფიტირებული ღვინოები, პირიქით, ძლიერად
იუანგება და სწრაფად მწიფდება.

ისეთი ღვინო, რომელიც საჭირო რაოდენობის გოგირდო-
ვანი ანჭიდრიდით დამუშავდა, საუკეთესო თვისებებსა და შე-
საძლებლობებს მაქსიმალურად ამეღლავნებს. ისეთი ღვინო
დაძველების რეზიმის სწორად წარმართვის შემთხვევაში
სრული, საუკეთესო გემოსი და პარმონიისა ხდება.

გოგირდოვან ანჭიდრიდს, როგორც კონსერვანტს, ასევე
დიდი გამოყენება აქვს მანქანა-დანადგარების, ცარიელი კას-
რებისა და ბოთლების გაუსწოვნებისა და სტერილიზაცი-
ისათვის.

რაც შეეხება იმას, თუ როგორი სახით, როდის და რა რა-
ოდენობით შევიტანოთ გოგირდოვანი ანჭიდრიდი ღვინოში,
დამოკიდებულია ღვინის თავისებურებებზე. მხედველობაშია
მისალები ისიც, თუ წლის რომელ დროს და რა მიზნით ვატა-
რებთ სულფიტირებას.

ის ჭურჭელი, რომელიც გათვალისწინებულია გადანალები
ღვინის შესანახად, გოგირდოვანი ანჭიდრიდით გულდასმით
უხდა იქნეს დამუშავებული.

არსებობს სულფიტაციის მცირე, საშუალო და დიდი დოზაზე
ზები (1-ლი ცხრილი).

საქართველო
გიგანტი გარემონტიკა
1-ლი ცხრილი

დოზები	გვერდოვანი ანტი- ლრილის რაოდენობა გ/ლ	გვერდის პატრუქების რაო- დენობა 5 გ-ის რაოდენობით 50 დალ ტევადობის კასრზე
უმცირესი	6-10	0,5-1
მცირე	20-30	2-3
საშუალო	40-50	4-6
დიდი	60-70	6-7
უდიდესი	80-100	8-10

სხვადასხვა ღვინო ავადმყოფობისა და სხვა ფაქტორები-
სადმი შეგუების არაერთგვარ უნარს ამჟღავნებს. ამიტომ, რო-
ცა მხედველობაში მიიღება თითოეული ღვინისადმი ინდივი-
დუალური მიღვომის აუცილებლობა, ძნელია მივუთითოთ
გვერდოვანი ანტიდრიდის ამა თუ იმ დოზებზე პირველადი,
მეორეული და მესამეული გადაღების დროს. ცხრილ-
ში მოტანილი დოზები მხოლოდ ცალკეული დამახასიათებე-
ლი შემთხვევებისათვისაა გათვალისწინებული.

არაჯანსაღი ყურძნისაგან მიღებულ ახალგაზრდა ღვინოს,
რომელიც მაღალი მეავიანობისაა, გვერდოვანი ანტიდრიდი
მცირე დოზით უნდა დაებოლოს, რათა ღვინის არეში მეავია-
ნობის დამწევი ბაქტერიებისათვის საარსებო პირობები არ
შეიქმნას.

ჭანსაღი ყურძნისაგან შილებული ნორმალური ახალგაზრდა
ლვინის პირველადი გადალებისას ანჭიდრიდი საშუალები ჰქონდება
ზოთ უნდა დაებოლოს. ეს ღოზა უნდა გაიზარდოს წელებშემცირების
საფულვრებზე დადუღების შემთხვევაში, ხოლო საფულვრის
წმინდა კულტურის ხმარებისას უნდა შემცირდეს.

დაავადებულ, სუსტ ლვინოებს, ასევე, დაბალმეავიანებს
ანჭიდრიდი გადიდებული ღოზით უნდა დაებოლოს.


მეორეული, მესამეული და შემდგომი გადალებების დროს
ღოზები მცირდება $\frac{1}{2}$ -ით ან $\frac{1}{2}$ -ით იმ ღოზებთან შედარებით,
რომლებსაც პირველადი გადალების დროს ვხმარობდით. ეს
დაბალმეავიან და დაავადებულ ლვინოებს არ ეხება.

წითელი ლვინოებისათვის, თეთრ ლვინოებთან შედარე-
ბით, გოგირდის დაბოლებისა და, საზოგადოდ, სულფიტა-
ციის ღოზები $\frac{1}{2}$ — $\frac{2}{3}$ -ით უნდა შემცირდეს.


ზოგჯერ დახურული წესით ისეთი ლვინის გადალებისას,
რომელმაც სრული სიმწიფის პერიოდს მიაღწია და მზად არის
ჩამოსასხმელად, გოგირდის დაბოლება არ არის აუცილე-
ბელი. საქმარძია მხოლოდ მცირე ღოზით დაბოლება, კას-
რების პროფილაქტიკის თვალსაზრისით.

ძლიერ დაავადებული ლვინოებისათვის საჭიროა, გოგირ-
დის დაბოლების ღოზები საგრძნობლად გავზარდოთ.

თუკი უნარიანად და საქმის კარგი ცოდნით იქნება ჩა-
ტარებული ის სამუშაოები, რომლებიც ლვინის დაცველების
პროცესითაა გათვალისწინებული, მაღალხარისხოვანი ლვინის
მიღებაც გარანტირებულია.



სულფიტირება გოგირდის დაწვით. სულფიტირებული გოგირდისი მელვინეობაში ფართოდ არის გამოყენებული გოგირდისი პატრუქები. პატრუქს დამდნარ გოგირდში ქალალდის მოგრძო ნაჭრების ამოვლებით ამზადებენ. მზადდება 30 სმ სიგრძისა და 3 სმ სიგანის პატრუქები, წონით 5 გ. მსხვილი პატრუქების დამზადება მიზანშეწონილი არ არის, რადგან გოგირდი წვას ვერ ასწრებს და დამდნარი გოგირდი ლვინოში იწვეთება, რის შედეგადაც ლვინოს ლაჟე კვერცხის გემო და სუნი ეძლევა. სასურველია, გოგირდის ლვინოში ჩაწევეთების თავიდან ასაცილებლად პატრუქი ჩამოიყიდოს ამოსაწვავ ხელსაწყოში (ნახ. 6, ა). ნაკლულ ჭურჭელში გოგირდი შეიძლება დაებოლოს ჩიბუხის (ნახ. 6 ბ) დახმარებით.



ნახ. 6. გოგირდის დასაწვავი ხელსაწყოები: ა) პატრუქი, ბ) ჩიბუხი.


შეიძლება, პატრუქი გამოვიყენოთ ცარიელი კუსრის 100-ზინფექციისათვის, რაც კასრის გამორეცხვის შემდეგ უნდა მოხდეს. თითოეულ 40 დალ-იან კასრზე 4—5 პატრუქი შემდეგ კირო.

სათავსის — მარნისა თუ სარდაფის დეზინფექციისათვის თუნუქის ჯამზე დაყრილ 25—30 გ გოგირდს წვავენ. ამ ოპერაციას ჩვეულებრივ დასვენების წინა სალამოს ატარებენ, რის შემდეგ კარები და ფანჯრები მჭიდროდ უნდა დაიხუროს და მომავალ სამუშაო დღემდის ასე დარჩეს. სამუშაოს დაწყებამდის შენობაში ჰაერი აუცილებლად უნდა გაიწმინდოს.

სულფიტირება თხევადი SO_2 -ით. თხევადი SO_2 ინახება ფოლადის ბალონებში. მისი გამოყენებისას დოზის დაცვა უფრო ზუსტად შეიძლება, აგრეთვე, ის ჰიგიენურია — ცუდი სუნით არ ხასიათდება. თხევადი SO_2 -ის დოზები იგივეა, რაც პატრუქების წვის შემთხვევაში. სულფიტირებას სულფიტომეტრის (ნახ. 7) საშუალებით აწარმოებენ.

სულფიტირება წყალში ხსნადი SO_2 -ით. უნდა აღინიშნოს წყალში ხსნადი SO_2 -ის უარყოფითი თვისება: სინათლეზე ის იყანება და გადაიქცევა H_2SO_4 -ად, ამიტომ დაგოგირდიანებული წყალი უნდა შევინახოთ თავდასურული ჭურჭელში, ბნელ ადგილზე. დიდი რაოდენობით მისი დამზადება (რამდენიმე დღისათვის) მიზანშეწონილი არ არის. პრაქტიკულად გამართლებულია SO_2 -ის 5%-იანი ხსნარის დამზადება.

სულფიტირება კალიუმის პიროსულფიტით ($K_2S_2O_8$). მისი შედგენილობის 50 %-ს SO_2 წარმოადგენს. პიროსულფიტის 10 ტაბლეტი 5 გ გოგირდოვან ანჰიდრიდს გამოყოფს. გამოყენებისას შეიძლება მისი წინასწარ გახსნა ღვინოში,



ნახ. 7. სულფიტომეტრი.

ანდა მასში პარკით ჩაკიდება სრულ გახსნამდე. აღსანიშნავია, რომ პიროს სულფიტი მხოლოდ მყავვე არეში იშლება K_2SO_4 -დ. დადგენილია მისი ხმარების დოზა: 1 ჰლ ლვინოში 30 გ $K_2S_2O_5$.

ნაკლული მურმლის ზეგვება

ლვინის დაძველებისა და დავარგების ტექნოლოგიური პროცესების ჩატარების დროს ნაკლული სალვინე ჭურჭლის შექსებას რეგულარულად აწარმოებენ.

რით არის გამოწვეული ამ ოპერაციის ჩატარების
ლებლობა და რა მიზანს ისახავს იგი?

კასრის რაგინდ მჭიდროდ და კარგად ჰქონდეს მუწვევული ან
საცობი, ღვიძო ღრიყდაღრო ქროლდება და გახენულ ფლუტული კანკენი
ადგილს ჰაერი იკავებს. ამ მოვლენას მელვინეობაში არ არის
განვითარებული.

ისეთი მოვლენების შედეგად, ჩოგორიცაა CO₂-ის გამო-
ყოფა, აორთქლება, ტემპერატურის რყევადობა, ღვინის
შთანთქმა მუხის კასრის ფორმვანი ტექნიკის მიერ, ჭურჭელ-
ში ღვინის მოცულობა ყოველთვის იცვლება. ღვინისაგან
განთავისუფლებული სივრცის ჰაერის მიერ დაკავება არასა-
სურველი მოვლენა და ღვინისათვის საფრთხეს წარმოად-
გენს, რადგანაც ჭურჭელში საჰერო სივრცის წარმოქმნის
შედეგად:

- 1) ღვინიდან გამოიყოფა ნახშირმევა, რაც უარყოფი-
თად მოქმედებს ღვინოზე: გას ხალისიანობას უკარ-
გვს.
- 2) ღვინოში მიმდინარე დაუანგვითი პროცესები მის
ბურეტს ცვლის.
- 3) ღვინის ზედაპირზე ობის აპეტი (მიკოლერმა) და
შმარმევა ბაქტერიები ვითარდებიან.

ყველაფერი ეს უარყოფითად მოქმედებს ღვინის ხარისხზე:
ღვინო კარგავს არომატს, უსხეულო, არასასურველი სუნისა
და გემოს მქონე ხდება.

აშრობითი დანაკარგების რაოდენობა სათავსის ტენიანო-
ბაზე, ტემპერატურაზე, ჭურჭლის ტევადობაზე, მუხის ხნო-
ვანებაზე, ტექნიკის სისქეზე, ღვინის ქიმიურ შემაღენლობასა
და ხნოვანებაზეა დამოკიდებული.

როცა სარტაფში შეფარდებითი ტენიანობა 70 %-ზე დაბა-
ლია, წყალი სპირტზე სწრაფად ორთქლდება. ეს გამოწვეულია
სპირტის მაღალი მოლეკულური წონით. ამ ღრის ხდება

სპირტის შეფარდებითი ზრდა 75 % ტენიანობის შემთხვევაში
ღვინის სპირტიანობა თითქმის არ მცირდება, ხოლო, როგორ არ
შეფარდებითი ტენიანობა 75 %-ზე მაღალია, სპირტიანობის ზრდა
ზე სწრაფად ორთქლდება, რადგან შენობა გაეღლენთილია
ტენით და ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, წყლის აორ-
თქლება მცირე იქნება. ამ დროს სპირტის შეფარდებითი
დანაკარგები მატულობს. მართალია, მშრალ სარდაფებში
ალკოჰოლის შეფარდებითი შემცველობა ღვინოში იზრ-
დება, სამაგიეროდ, მისი აბსოლუტური დანაკარგები მა-
ტულობს.

წლის ცხელ პერიოდებში ჭურჭელს უნდა მოვაკლოთ ღვი-
ნო, ვინაიდან ის ფართოვდება და შესაძლოა, დანაკარგებს
ჰქონდეს ადგილი. უნდა მოაკლდეს სატრანსპორტოდ გამზა-
დებულ ჭურჭელსაც. შემოდგომით, ტემპერატურის დაწევის
გამო, ღვინის მოცულობა მცირდება და შევსების დოზები
იზრდება.

ღვინის აშრობა დაკავშირებულია იმ ჭურჭელთან, რომელ-
შიც ის იმყოფება: ღვინის აქროლადობა ისეთი კასრიდან,
რომელიც დამზადებულია მუხის სქელშრიანი ტკეჩებისაგან,
მცირეა თხელ და ფართოშრიან ტკეჩებისაგან დამზადებულ
კასრებთან შედარებით.

ღვინონამყოფი ძველი კასრებიდან, აშრობა უფრო
მცირედ ხდება, ვიდრე ახალი კასრებიდან, ვინაიდან ღვი-
ნის დაძველების პროცესში ტკეჩების ფორები ღვინოში შე-
მავალი ნივთიერებებით ივსება.

ალსანიშნავია აგრეთვე ის, რომ დიდი მოცულობის ჭურ-
ჭლიდან აშრობა უფრო ხაკლებად ხდება, ვიდრე პატარა შო-
ცულობის ჭურჭლიდან. ასე რომ, ბუტიდან უფრო ხაკლებად
შრება ღვინო, ვიდრე კასრიდან. რაც უფრო დიდია ჭურჭელი,
მით ღვინის მოცულობის ერთეულზე უფრო ხაკლები აშრო-
ბის ზედაპირი მოდის.

შენახვის
მდგრადი
რეაგირების
კატეგორიები

შენახვის პირობები

	15°-ზე მეტი	16-20°	21-25°	25°-ზე მეტი
a) სარდაფებია და სარდაფის ტიპის მიწისქვეშა სათავსებში:				
120 დალ-მდე (ჩათვლით) ტევადობის კასრები	2,0-2,1	2,4	2,9	—
120 დალ-ზე მეტი ტევადობის ბუ- ტები	1,5	1,8	2,1	—
რეინა-ბეტონის რეზერვუარები . .	0,7	0,7	0,7	—
ლითონის რეზერვუარები	0,4	0,4	0,4	—
b) თხელ, მსუბუქ (ფიცრული, ლელ- ქაშისაგან გაყენებული ქონები და სხვ.) მიწისქვეშა სათავსებში:				
120 დალ-მდე (ჩათვლით) ტევადობის კასრები	2,6	3,1	3,6	4,2
120 დალ-ზე მეტი ტევადობის ბუ- ტები	2,0	2,3	2,6	2,9
რეინა-ბეტონის რეზერვუარები . .	0,8	1,0	1,2	1,4
ლითონის რეზერვუარები	0,5	0,6	0,8	1,0
c) ღია ცისქვეშ და გადახრულ ტე- რიტორიებზე:				
120 დალ-მდე (ჩათვლით) ტევადობის კასრები	4,7-5,0	6,7-6,0	6,7-7,0	7,7-8,0
120 დალ-ზე მეტი ტევადობის ბუ- ტები	3,5	4,1	4,7	5,5
რეინა-ბეტონის რეზერვუარები . .	1,0	1,3	1,6	2,1
ლითონის რეზერვუარები	0,7	0,9	1,1	1,4

ყველაზე მცირე აშრობითი დანაკარგები არს რეზის-ბერტონის რეზერვუარებში, ქვევრებსა და ლითონის ჭრის შეფარულებულ ტანკებში. ღვინის დასაძველებელი სათავსურუსურუს რე აშრობითი დანაკარგების თვალსაზრისით, ოპტიმალურ ტემპერატურულ დოზად ითვლება $10-15^{\circ}$, 85-90 % ტენიანობის პირობებში. მე-2 ცხრილში მოცუმულია დანაკარგების (მოცულობითი) ნორმები ღვინომასალებისა და ღვინის შენახვა-დაძველებისას (წლიური პროცენტები).

ღვინომასალებისა და ღვინის ხანგრძლივი დაძველების დროს წლიური დანაკარგების ნორმები ყველანაირი ტიპის სათავსის ტემპერატურისა და კურპლის მეორე წელს 0,2 %-ით მცირდება.

სხვადასხვა წლის მოსავლის ღვინომასალების დაკუპაჟებისას ღვინის დაძველების დასაწყისად დაკუპაჟების თარიღი ითვლება.

დანაკარგების საშუალო ნორმა პროცენტებში ღვინის შენახვისა და დაძველების მთელი დროის განმავლობაში ყოველთვიურად იანგარიშება. ამასთანავე, მხედველობაში მიიღება საშუალო თვიური ტემპერატურა, შესანახი და დასაძველებელი ღვინის საშუალო თვიური რაოდენობა. სათავსის ტენიანობა მხედველობაში არ მიიღება.

ღვინის შერჩევა შესავსებად. ისეთი ღვინის შერჩევისას, რომლითაც უნდა შევავსოთ ნაკლული კურპლი, დიდი სიფრთხილე და დაკვირვება გვმართებს. ამ დროს ყურადღება ექცევა შემდეგ ფაქტორებს:

ა) ღვინო, რომელიც შერჩეულია ნაკლული კურპლის შესავსებად, შესავსები ღვინის ხეოვანებისა ან მასზე უხნესი უნდა იყოს;

ბ) შესავსებად უფრო ახალგაზრდა ღვინის ხმაწება ყვავ-
ლად დაუშვებელია.

ახალგაზრდა ღვინით შევსებისას ძველ ღვინოულებულებრივებ
ბა ცილოვან და სხვა ისეთ ნაერთთა შემცველობა, რომელიც
ჯერ კიდევ დაძველების პროცესშია დალექილი.

გარდა ამისა, ახალგაზრდა ღვინო ყოველთვის დიდი რაო-
დენობით შეიცავს სხვადასხვა მიკროორგანიზმებს, საფუზ-
რებისა და ბაქტერიების სახით, რომლებიც დაძველების პრო-
ცესში დაილექებიან;

გ) შევსების ოპერაციის ჩატარებისას დასასხმელად შერ-
ჩეული ღვინო უნდა იყოს ჯანსაღი. ღვინომასალა მეღვინეო
თვითონ უნდა შეარჩიოს.

დასასხმელად შერჩეული ღვინო წინასწარ უნდა შემოწ-
მდეს ქიმიურად და მიკრობიოლოგიურად, ჩატარდეს მისი
დაჭაშნივება.

დასასხმელი ღვინო უნდა შევარჩიოთ სავსე ჭურჭლიდან.
საჭიროა, ყოველი შევსების ჩატარებისას საცობები სოდის
2—3 % -იანი ხსნარით გაიწმინდოს. არ შეიძლება საცობზე
ქსოვილის შემოხვევა. კასრის პირი ყოველთვის უნდა მოიწ-
მინდოს. ბაქტერიებისა და მავნე მიკროორგანიზმებისაგან
დაუცის მიზნით შეიძლება ღვინოს თავზე მოვასხათ მზესუმ-
ზირას ან ბამბის ზეთი, ან კიდევ სპირტი 1—2 სმ-ის სისქეზე.
ღვინოზე ეს უარყოფითად არ მოქმედებს.

ღულილის დასრულების შემდეგ, როცა დამთავრებულია
ნახშირმჟავას გამოყოფა და ღვინო წყნარ მდგომარეობაშია,
ჭურჭლი პირამდე უნდა შევავსოთ და თავი მჭიდროდ არ
დავუცათ, ვინაიდან შესაძლებელია, ჯერ კიდევ მჟავების
ბიოლოგიური დაყოფის შედეგად ნახშირმჟავა წარმოიქმნას.



აუცილებელი არ არის, ღვინო, რომელმაც ლითონის ტანკ-სა ან ცისტერნაში დაიდუღა, აღრიანად შევაჭრებული მასში ღვინის ზედაპირზე კარგა ხანს არის დაჯიშვილი მასში ეშირმეავა გაზი, რომელიც ღვინოს ყოველგვარი მავნე ზემოქმედებისაგან იცავს. ტანკი კი ნახშირმეავა გაზის მიერ განვითარებულ წნევას თავისუფლად უძლებს.

რაც უფრო დიდი ტევადობისაა საღვინე ჭურჭელი, ღვინოს ჰაერთან შეხება მით უფრო ნაკლებ ზიანს აყენებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ აუცილებელი არ არის ლითონის ტანკები და ცისტერნები პირამდე სავსე დავტოვოთ, რადგან ამ ჭურჭლებს ფორმვანი ზედაპირი არა აქვს. ღვინის ზედაპირზე ნახშირმეავა გაზით დაკავებული სივრცე ღვინოს დაავადებისა და გაფუჭებისაგან იცავს. თუმცა საშუალო ხარისხის ღვინოები, რომლებიც ნახშირმეავა გაზისაგან არ არის დაცული, ნაკლულ ტანკებსა თუ ცისტერნებში ისევე ადვილად ავადდებიან, როგორც კასრებში.

თუ ზაფხულობით შევამჩნიეთ ღვინიდან ნახშირმეავა გაზის გამოყოფა, რაც გამოწვეული იქნება მეტად დაყოფით ან დაუდუღარი შაქრის ხელახალი დუღილით. ამ ბიოლოგიურ პროცესებს ყურადღებით უნდა ვაღევნოთ თვალყური და წარვმართოთ ის საჭიროებისამებრ: შევაჩეროთ, ან ბოლომდე მივიყვანოთ დუღილი.

ის ღვინო, რომლითაც ვაწარმოებთ ნაკლული ჭურჭლის შევსებას, უნდა იყოს წმინდა, ჯანსაღი და შესავსებ ღვინოს ხარისხით არ უნდა ჩამოუვარდებოდეს.

რაგინდ მცირე არ უნდა იყოს ის ღვინომასალა, რომლითაც ნაკლული ჭურჭლის შევსებას ვაპირებთ, მას შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს შესავსები ღვინის შინაარსსა და




ხარისხზე, თუკი მას ხარისხობრივად ჩამორჩება. ერთწერტელად
ელოდვის უნდა ვეცადოთ შესავსები ღვინის ტოლიანურობის
ნომასალა შევარჩიოთ.

დაუშვებელია შესავსები ღვინის შენახვა მცირე მოცუ-
ლობის მუხის ჭურჭელში, ვინაიდან ამის შედეგად ვლებუ-
ლობთ მშრალ და უშინაარსო ღვინოს, რომელსაც ხშირად
მუხის გემოც კი დაჰკრავს. მუხის ხის გავლენა ღვინოზე გან-
საკუთრებით სწრაფად იჩენს თავს მცირე ტევადობის ჭურ-
ჭელში. ამისათვის მიზანშეწონილია ამგვარი ჭურჭელი შიგ-
ნიდან გაუმტარი მასით, მაგალითად, პარაფინით დამუშავდეს.

უმჯობესია, ზემოაღნიშნული მიზნისათვის გამოვიყენოთ
მინის 25 და 50 ლ ტევადობის ბალონები, რომლებშიც ღვინო
თავის ბუქეტსა და შინაარსს კარგად ინარჩუნებს.

შევსების ვადები. ნაკლული ჭურჭლის პირველად შევსე-
ბას ატარებენ მძაფრი ღულილის დამთავრების შემდეგ. ჭურ-
ჭელი ივსება თითქმის პირამდე და საცობი მჭიდროდ არ ეხუ-
რება. როცა ღულილი დამთავრდება, ჭურჭელს პირამდე ავ-
სებენ და თავს მჭიდროდ დაუცობენ.



ნახ. 8. შემავსებელი ჭურჭელი.



შევსებას აწარმოებენ სპეციალური ჰურკლიფრ წილები რომელიც დამზადებულია სპილენძისაგან და კრიულულურები კირველადი გადალების ჩატარების შემდეგ ჰურკელი უნდა შევავსოთ კვირაში ერთხელ. იმ შემთხვევაში, როცა სათავს-ში დაბალი ტემპერატურაა ($10-12^{\circ}$), ერთჯერადი შევსება სავსებით საქმარისია, ხოლო უფრო მაღალი ტემპერატურისას ჰურკელი კვირაში ორჯერ უნდა შევავსოთ.

შევსება დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. როცა აშრობა ინტენსიურად მიმდინარეობს, ან რაც უფრო ახალ-გაზრდაა და დაბალგრადუსიანია ღვინო, მით უფრო ხშირად უნდა შევავსოთ საღვინე ჰურკელი. ეს ეხება სუფრისა და ისეთ შემაგრებულ ღვინოებს, რომელთა სიმაგრე 16 % მოც-ზე დაბალია, ხოლო 16 % მოც-ზე მეტად შემაგრებული ღვი-ნოები არ ითხოვენ ხშირ შევსებას, რადგან მაღალგრადუსიანობა მათ ყოველგვარი მავნე მიკროორგანიზმისაგან იცავს.

კასრებს, რომელთაც საცობი გვერდით აქვთ გაკეთებუ-ლი, ავსებენ ექვს თვეში ერთხელ. ასეთ კასრებში აშრობითი დანაკარგები შემცირებულია და ექვს თვეში ერთხელ შევსება სავსებით საქმარისია. ასეთ კასრებს უპირატესად სამარკო ღვინოებისათვის ხმარობენ.



8 0 6 1 1 6 6 0

ඛවැස මාධ්‍යමයා	3
ඛවැස ප්‍රේලංගිතයෙකා	32
නොමුවෙන් වෛශ්‍ය පොදුවයා	34



Глонти Теймураз Амбросович

Уход за вином

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5.

1971

რედაქტორი ა. ნამორაძე
მხატვარი თ. შესხი

მხატვრული რედაქტორი გ. ტუხაშვილი

ტექნიკა გ. შველიძე

კორექტორი გ. მალანია

გამომშვები გ. ბენიძე

გადაეცა წარმოებას 18/XI-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VII-71 წ.
ქალალის ზომა 70 X 108^{1/32} პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 193
საალიკრულ-საგამომცემლო თაბაზი 148
ფ. 01798 ტირაჟი 500. შეკვ. № 1634
ფასი 4 კაბ.

გამომუშავება „საბჭოთა საქართველო“,
თბილისი მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდელითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამსართველოს
სტაზა № 10 ცხინვალი, მოსკოვის ქუჩა, № 5.

Типография № 10 Главполиграфпрома Государственного Комитета
Совета Министров Грузинской ССР по печати, Цхинвали,
Московская, 5.

საქართველო
გიგანტი

კახუავესის ცემონები ბიბლიოთეკი



K 40.598/2